# გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო საკავშირო ალკკ XV ყრილობამ

## მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 94 (3071) 18 1966 წ. მაისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

ხვალინდელი საათი!

✦ ნოვოსიბირსკი, 17 მაისი. ქალოსანთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მძიმე წონის ათლეტთა შორის გაიმარჯვა ნ. მირონენკომ — 490 კგ. ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. ჯაჯელავამ — 477,5 კგ.



სასიხარულო ცნობა მოვიდა ნოვოსიბირსკიდან: ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსანი გ. კოჩიევი (საშუალო წონა) საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

სურათზე: გ. კოჩიევი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვი 1966

### XV პარტია

# 8:7

მოსკოვი, 17 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა პეტროსიან — სპასკის მატჩის XV პარტიის დამთავრება. როგორც ცნობილია, მიმომხილველების აზრით, პარტია გადადებული იყო სპასკისთვის უკეთესი შანსებით.

თამაშის განახლებისას სპასკიმ მეტოქეს ხარისხი დაუბრუნა, პაიკი მოიგო და შეეცადა გამარჯვების შანსების მიღებას. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი ჩინებულად თამაშობდა და სასურველ ყაიმს მიაღწია.

აი, პარტიის დაბოლოება:

42. მ:c3 მd4 43. ეe5 კ:e5 44. fe ე:c3 45. ე:d4 მფf7 46. ეd6 ეc5 47. ეf6+ მფg7 48. კe4 ე:e5 49. ე:g6+ მფf7 50. კc2 ეe1+ 51. მფf2 ეa1 52. ეc6 ე:a2 53. h4 მd5 54. მფf3 ეa3+ 55. მფe4 ეc3. სპასკის წინადადებით, მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, XV პარტიის შემდეგ ანგარიშია 8:7 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. 18 მაისს შედგება XVI პარტია.

# გუშინ...

„ბ" კლასი IV ზონა

საქართველოს ქალაქებში გაიმართა „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები საკავშირო პირველობაზე.

ჩვენმა კორესპონდენტებმა ტელეფონით შეგვატყობინეს...

### სოხუმიდან

ადგილობრივი „დინამო" შეხვდა კიროვაკანის „ლორის". მასპინძლებმა თამაში სწრაფად დაიწყეს და შესვენებამდე ინიციატივა ხელიდან არც გაუშვიათ, მაგრამ მათს შეტევებს შედეგი არ მოჰყვა: თავდამსხმელები მეტისმეტად უხეიროდ ურტყამდნენ „ლორის" კარში.

მეორე ტაიმში იგივე სურათი განმეორდა და აი, ყველას ეგონა, რომ დინამოელები მიზანს მიაღწევდნენ: 75-ე წუთზე სტუმართა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. მაგრამ ჭითანავას მიერ დარტყმული ბურთი „ლორის" მეკარემ მოიგერია. საბოლოოდ, ეს უფერული მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.

შ. ჯალაღონია.

### რუსთავიდან

გასვლითი მატჩების შემდეგ ადგილობრივმა „მეტალურგმა" შინ მიიღო ნოვოროსიისკის „ცემენტი". სველი მინდვრის მიუხედავად, თამაში ცოცხლად დაიწყო. მე-16 წუთზე იობიძემ შეძლო წინ გამოსული მეკარის მოტყუება და ანგარიში გახსნა — 1:0. 38-ე წუთზე სტუმრებმა მიიღეს საჯარიმო დარტყმის უფლება, — ბურთი მიიღო შეროსტანმა და თავით გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

მეორე ნახევარი ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა. 70-ე წუთზე კუზნეცოვმა („ცემენტი") დააწინაურა თავისი გუნდი, 2 წუთის შემდეგ კი პირველი გოლის ავტორმა იობიძემ გაათანაბრა ანგარიში — 2:2. ასე დამთავრდა მატჩი.

რ. ბაბრიჟიძე.

### გორიდან

გორის „დილამ" პირველი გამარჯვება იზეიმა წლევანდელ გათამაშებაში. მან ძალიან მწვავე და საინტერესო ბრძოლაში დაჯაბნა მაიკოპის „უროჟაი".

გორელებმა თავიდანვე მძაფრად შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მათ უპირატესობას შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, პირველი ტაიმის მიწურულში „უროჟაის" თავდამსხმელებმა რამდენიმე სწრაფი იერიში განახორციელეს და პახომკინმა ანგარიში გახსნა — 1:0.

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. 53-ე წუთზე გორელმა ბურჯანაძემ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1. 5 წუთის შემდეგ კი მასპინძლები დაჯარიმდნენ პენალტით, რაც კარგად გამოიყენა მაიკოპელმა იაროვენკომ და კვლავ დააწინაურა „უროჟაი" — 2:1. რამდენიმე წუთის შემდეგ დაინიშნა მესამე 11-მეტრიანი საჯარიმო ამ მატჩში: მაიკოპელმა მცველმა ხელით მოიგერია ბურთი საჯარიმო მოედანზე და ისევ ბურჯანაძეს „მოუწია" ანგარიშის გაქვითვა — 2:2.

და აი, როცა თამაშის დამთავრებას თითქმის აღარაფერი აკლდა, გორელმა ჯანელიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა — 3:2.

გ. გოზალიშვილი.

### ფოთიდან

მატჩის დაწყებამდე აქ ცნობილი გახდა, რომ ერევნის „არაქსი" „ბ" კლასის გუნდებში ყველაზე ახალგაზრდული კოლექტივია — იქ თამაშობენ მხოლოდ 19-21 წლის ფეხბურთელები. ამიტომ ზოგიერთებს მიაჩნდათ, რომ „კოლხიდა" იოლ გამარჯვებას იზეიმებდა. მასპინძლებმა შეხვედრა მართლაც მოიგეს, მაგრამ ალმასიასა და გვაზავას მიერ შესვენებამდე გატანილი გოლები მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შედეგი იყო.

ფოთელებმა მატჩი მონდომებულად ჩაატარეს და დაამარცხეს მეტოქე — 2:0.

ა. ლომაია.

### გურჯაანიდან

ადგილობრივი „ალაზნისა" და კრიმსკის „უროჟაის" შეხვედრის დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა. მასპინძლები უკვე მე-4 წუთზე საგრძნობლად იყვნენ დაწინაურებული — 2:0. მაგრამ შემდეგ „უროჟაი" გამოცოცხლდა, გააძლიერა დაცვა და ძლიერადაც შეუტია „ალაზანს". მეორე ტაიმში სტუმრებმა მიზანს მიაღწიეს — 1 გოლი გაქვითეს, მაგრამ ვალში არც „ალაზანი" დარჩა — 3:1.

საფინალო სასტვენამდე „უროჟაიმ" სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

გაიმარჯვა „ალაზანმა" — 3:2.

### ზუგდიდიდან

ადგილობრივი „ენგური" საკუთარ მინდორზე შეხვდა კაფანის „ლერნაგორცს". „დებიუტი" სტუმრების უპირატესობით აღინიშნა. მაგრამ აი, მე-15 წუთიდან მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს თამაში, ხოლო შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ და ზედიზედ, თუმცა ამაოდ „დაბომბეს" მეტოქის კარი.

შესვენების შემდეგ „ენგურის" იერიშები უფრო მწვავე გახდა. ლერნაგორცელები გაჭირვებით იგერიებდნენ მათ შეტევებს და ეპიზოდურად გადადიოდნენ კონტრიერიშზე. და როგორც ხშირად ხდება, ერთ-ერთმა ასეთმა საპასუხო იერიშმა გამარჯვება მოუტანა გუნდს: სარქისიანმა ზუსტი დარტყმით გაიტანა ერთადერთი ბურთი „ენგურის" კარში — 1:0.

ბ. ალშიბაია.

### ტყიბულიდან

„მეშახტემ" ძალიან გაახარა ადგილობრივი გულშემატკივრები — დიდი ანგარიშით დაამარცხა ელისტის „სპარტაკი" — 5:0.



სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის „კუნცევოს" ხელბურთელთა გუშინწინდელი მატჩის ერთ-ერთი მომენტი. შეტევაზეა ი. ფხაკაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ამ გუნდების შეხვედრის ანგარიში იხ. მე-4 გვ.

ფეხბურთი 1966



საქართველოს მოკრივეთა ახლახან დამთავრებულ პირველობაში წარმატებით გამოვიდა რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ელექტრომომარაგების საამქროს ელექტროზეინკალი ნ. გარაბაჯი. მან დამსახურებულად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება და სპეციალისტთა საერთო მოწონებაც დაიმსახურა.

• • •

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ საქართველოს ჩემპიონს შრომისა და ვარჯიშის დროს.

ფოტო რ. გაბრიელიძისა.



## რაიონებში სპორტსმენები

### ✦ თბილისი

მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის კომკავშირის XV ყრილობისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა ოთხ სახეობაში. გაიმარჯვეს ფაბრიკის სამმართველოს სპორტსმენებმა.

ჯ. მორგოშია.

### ✦ სოხუმი

ახლახან მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სპორტული დღესასწაულით აღნიშნეს საქალაქო სპარტაკიადაში გამარჯვება. სკოლის სპორტულ ბაზებზე მოეწყო შეჯიბრებები კროსში, ფრენბურთში, ჰიდაობაში, ფეხბურთში. მოსწავლეთა ზეიმში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მოფარიკავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა, რომელთაც საჩვენებელი გამოსვლები მოაწყეს.

ო. სანაია.

### ✦ ცხაკაია

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილზეა ადგილობრივი მე-4 საშუალო სკოლის გუნდი (მწვრთნელი მ. ადამია). II-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს ცხაკაიას მე-3 და სოფელ თეკლათის საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა.

ე. გუგუნავა.

### ✦ საჩხერე

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკე გოგონებში ყველას აჯობა ა. აბრამიშვილმა (სარეკის 8-წლიანი სკოლა), ჭაბუკებში კი პირველი 3 ადგილი გაიყვეს ბ. ივანიშვილმა (საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა), თ. ზუბიაშვილმა (ჯალაურთის საშუალო სკოლა) და ა. თეთრუაშვილმა (საჩხერის მე-3 საშუალო სკოლა). მოშაშე გოგონებში უძლიერესი იყო ე. ფალავანდიშვილი (მერჯევის საშუალო სკოლა), ხოლო ჭაბუკებში — ც. იმედაშვილი (მერჯევის საშუალო სკოლა).

ა. ანასაშვილი.

### ✦ ლაგოდეხი

აქ გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული ჩემპიონატი ფრენბურთში. ვაჟებში I ადგილი მოიპოვეს სოფელ ბაისუბნის ფიზკულტურელებმა, ხოლო ქალებში — სოფელ ნინიგორის ნაკრებმა.

ფ. კვირიკაშვილი.

### ✦ თერჯოლა

სოფელ ლვანკითის რვაწლიანი სკოლის დირექცია (დირექტორი ვ. ბუსკივაძე) ყურადღებით ეკიდება სპორტული ბაზების მშენებლობას. ახლახან სკოლის ეზოში მოსწავლეთა ძალებით ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები მოაწყეს.

ვ. კუტალაძე.

### ✦ ჩხოროწყუ

ადგილობრივ პიონერთა სახლში დამთავრდა „კოლმეურნის" მოჭადრაკეთა რაიონული პირველობა, რომელშიც 10 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონი გახდა ხაბუმის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ო. გორდულაძე. II თანრიგის ნორმატივი შეასრულა ოთხმა მონაწილემ.

ი. ნაჭყებია.

აქედანვე ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# დროა მწვრთნელები დაფიქრდნენ

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე ცურვაში ჩათვლას მხოლოდ I თანრიგისა და სპორტის ოსტატის ნორმათა შესაბამისი მაჩვენებლები იძლევიან. თუ ამას წინათ საქართველოს სპორტკავშირის აუზში გამართულ თბილისის ჩემპიონატს ამ საზომით მივუდგებით, ვნახავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს, რომლის ძირითად ბირთვს სწორედ დედაქალაქის მოცურავენი შეადგენენ, მაინცდამაინც სახარბიელო არაფერი აქვს.

ტურნირში გუნდები ვერ გამოიყვანეს „სპარტაკმა" და „ლოკომოტივმა", მაშინ, როცა „სპარტაკის" ერთ-ერთი კოლექტივი — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი დამოუკიდებლად ცდიდა ძალას. „ლოკომოტივი", აბა, როგორ გამოიყვანდა გუნდს? იქ ხომ ცურვის მწვრთნელების ადგილი წყალბურთელებს უკავიათ.

ასპარეზობის ზოგიერთი მონაწილე გუნდი სრულად არ იყო დაკომპლექტებული, ხოლო სპორტსმენთა მაჩვენებლები უმეტესად 5 წლის წინანდელ დონეზე დგას. პირადი პირველობის პროგრამის 24 სახეობიდან ვერც ერთი გამარჯვებული ვერ შეწვდა სპორტის ოსტატის ნორმას და მარტო სამმა დინამოელმა (გ. კარბუკოვმა თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში — 59,7, ა. იოაკიმიდიმ — ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვაში — 2.31,4 და ვ. ანიკინამ — ბრასით 100 მეტრზე ცურვაში — 1.26,2) შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმა. მათ გარდა კიდევ 29 მოცურავე გაცდა I თანრიგის საწყის დროს.

აღნიშნულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ზოგიერთ დისტანციაზე (ქალთა ბატერფლაით 200 მ და თავისუფალი სტილით 400 და 800 მ, კომპლექსური ცურვა 400 მ) სულ ორი-სამი ან, უკეთეს შემთხვევაში, 4 სპორტსმენი მონაწილეობდა, ცხადი გახდება, როგორ ემზადებიან სპარტაკიადისთვის დედაქალაქის სპორტსაზოგადოებები და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

სპორტსმენთა რაოდენობის მხრივ ვერ ვუსაყვედურებთ „დინამოს", რომელმაც 2 სრული გუნდი გამოიყვანა და I-II ადგილებიც დაიკავა. მცირერიცხოვანი თითქოს არც „განთიადის" გუნდი იყო, მაგრამ ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ამ საზოგადოების წარმომადგენლები ბევრად ჩამორჩებოდნენ დინამოელებს და საბოლოოდ III ადგილით დაკმაყოფილდნენ. და მაინც, ასპარეზობაში ყველაზე უსუსურად „ბურევესტნიკის" მოცურავენი გამოვიდნენ. 3 დღის განმავლობაში მათ მოაგროვეს... 67 ქულა, „დინამოს" I კოლექტივზე ცხრაჯერ და „განთიადზე" სამნახევარჯერ ნაკლები.

დინამოელთა უპირატესობაზე მეტყველებს ისიც, რომ მთელს შეჯიბრებაში მათ მხოლოდ 1 სახეობა — ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვა წააგეს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დინამოელთა შორისაც ბევრი იყო მოუმზადებელი სპორტსმენი. მაგალითად, ბრასით 200 მეტრზე ქალთა ცურვაში ა. ავსაჯანიშვილი (3.43,2) და მ. ევსიპოვა (3.45,2) III თანრიგსაც კი ვერ შეწვდნენ. ბევრი სპორტსმენი ცოდავდა ტექნიკაში. უტექნიკო იყო მათი ხელფეხის მოძრაობა, ცუდად ასრულებდნენ ბრუნს. დინამოელმა ა. გევორქოვმა ბატერფლაით 200 მეტრზე ცურვისას საკმაოდ ცუდი შედეგი (3.01,5) აჩვენა, ამასთან, მობრუნებისას ცალი ხელით შეეხო აუზის კედელს, რისთვისაც იგი სამართლიანად მოხსნეს შეჯიბრებიდან.

სპორტსმენთა მოუმზადებლობით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ქალთა შორის გამარჯვებულებს II-III თანრიგების შედეგები ჰქონდათ. მაგალითად, 200 მეტრზე ბატერფლაით და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ნ. ჟიგალიოვა („დინამო" II) — 3.05,9 და 6.24,6, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — ც. ჩიტაიშვილი („დინამო" II) — 6.20,3, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — ნ. ჩუგუევსკაია („დინამო" I) — 2.45,0, 200 მეტრზე ზურგზე ცურვა — თ. ლეკვეიშვილი („დინამო" II) — 3.01,4, 200 მეტრზე კომპლექსური და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით — ვ. ანიკინა („დინამო" I) — 2.57,4 და 12.35,4, ვაჟთა 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა — ა. ხეხტოიანი („დინამო" II) — 5.45,3.

ცურვაში თბილისის პირველობის შედეგებმა ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენი სპორტსმენები საგრძნობლად ჩამორჩებიან სსრ კავშირში ამ სახეობის განვითარების ტემპს. ამაში დიდი „წვლილი" მიუძღვით მწვრთნელებს, რომლებიც ცოდნას არ იმდიდრებენ სწავლების თანამედროვე მეთოდიკით. დროა სპორტსაზოგადოებების, უწყებების ხელმძღვანელები და მწვრთნელები დაუფიქრდნენ შექმნილ ვითარებას.

ო. გელაშვილი.

* * *

აი, სხვა გამარჯვებულები: ქალები — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ნ. ჩუგუევსკაია — 1.11,6, 100 მეტრზე ზურგზე ცურვა — ნ. ჭუმბაძე („დინამო" I) — 1.19,3, 100 მეტრზე ბატერფლაით — ნ. ჟიგალიოვა — 1.17,6; 200 მეტრზე ბრასით — ვ. ანიკინა — 3.07,4; ესტაფეტები: 4×100 მ თავისუფალი სტილით და 4×100 მ კომბინირებული — „დინამო" I — 5.10,0 და 5.34,0.

ვაჟები — თავისუფალი სტილით ცურვა: 200 მეტრზე — გ. კარბუკოვი — 2.15,3, 400 მეტრზე — ბ. ნიკიტინი („დინამო" I) — 4.53,6, 1.500 მეტრზე — ა. იოაკიმიდი — 19.26,8, ბრასით 100 და 200 მეტრზე — ი. კირდიანოვი („დინამო" I) — 1.16,0 და 2.47,4, ბატერფლაით 100 მეტრზე — რ. კრისანოვი („განთიადი") — 1.09,4, ზურგზე ცურვა 100 და 200 მეტრზე — ვ. ხიმჩიანი („დინამო" I) — 1.09,9 და 2.32,6, კომპლექსური ცურვა 200 მეტრზე — ბ. ნიკიტინი — 2.32,2; ესტაფეტები: 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით და 4×100 მეტრზე კომბინირებული — „დინამო" I — 4.11,3 და 4.40,6.

# პირველ აცდენამდე

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, რომელიც ამას წინათ მოსკოვში გაიმართა. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მესტენდურეები. ასპარეზობის პროგრამა მეტად საინტერესო იყო — ტარდებოდა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე პირად-გუნდური პირველობა, აგრეთვე, გაიმართა პირადი ტურნირი პირველ აცდენამდე.

ადგილიდან სროლაში პირველ აცდენამდე ასპარეზობაში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. კაჩალოვმა, რომელმაც 111 მფრინავ სამიზნეს შეუცდომლად ესროლა. მრგვალ სტენდზე ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ნ. დურნევმა. ამ გამოცდილმა ოსტატმა მხოლოდ 81-ე სამიზნეს დააცილა.

კარგა ხანია არ გამართულა შეჯიბრება ადგილიდან დუბლეტზე სროლაში (ამ ვარჯიშისას სპორტსმენს ერთდროულად ამოუფრინდება წყვილი სამიზნე). აქ ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა ოდესელი ი. ნიკანდროვი. მან 50 წყვილიდან 30 დაამსხვრია.

ადგილიდან სროლაში თასი დაისაკუთრეს უკრაინელმა სპორტსმენებმა — 745 ქულა 800-დან. II ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი — 743, III — ლატვია — 741. მრგვალ სტენდზე გაიმარჯვეს რსფსრ-ს მსროლელებმა — 383 (400-დან). მოსკოველები ჩამორჩნენ 8 ქულით. III ადგილზეა უზბეკეთის ნაკრები — 363.

პირად ჩათვლაში ადგილიდან სროლა მოიგო ბელორუსიელმა ვ. ვეტოხინმა, რომელსაც 200 სამიზნიდან მხოლოდ 4 „გაექცა". მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო მოსკოველი ა. შიროუხოვი — 195.

საერთო ჩათვლაში თასი რსფსრ-ს მესტენდურეებს დარჩათ. მოსკოვისა და უკრაინის გუნდები გავიდნენ II და III ადგილებზე.

წარუმატებლად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. მრგვალ სტენდზე სროლაში მათ IV ადგილი დაიკავეს, ადგილიდან სროლაში კი — VII. საერთო გუნდურ ჩათვლაში ისინი მხოლოდ VI ადგილით დაკმაყოფილდნენ. საქართველოს მესტენდურეთა ეს ჩავარდნა გამოიწვია იმან, რომ სპორტსმენებს არ ჰქონდათ თბილისში წვრთნის ჩატარების საშუალება, მოსკოვში გამართულმა ხანმოკლე შეკრებამ კი სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო.

# როცა ნორმალური წვრთნის საშუალება არა აქვთ...

# სალათას ძირიდან როდის გამოფხიზლდებიან?!.

# გამოცდები და...

**მძლეოსნობა**

თუ გამარჯვებულთა მიერ ნაჩვენებ შედეგებს ასე შევაფასებთ: სპორტის ოსტატი — „ფრიადი", I თანრიგი — „კარგი", II თანრიგი — „დამაკმაყოფილებელი", მაშინ მძლეოსნობაში 3-3 პრიზიორის საშუალო არითმეტიკული „დამაკმაყოფილებელი" გამოგვივა, ვინაიდან ერთადერთი, ვინც ამ ტურნირში „ფრიადი" მიიღო, უნივერსიტეტის სტუდენტი მ. ოყროშიძე გახლდათ (ბირთვი სპორტის ოსტატის ზღვარს იქით კრა — 17,25).

I თანრიგის მაჩვენებელი საკმაოდ ბევრი იყო. 800 მეტრზე რბენაში ოთხმა აჩვენა მისი შესაბამისი შედეგი, ორმა — ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელებმა ი. ცანავამ (1.57,0) და ი. სოვეტკინმა (1.56,7) კი პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივი, თანაც ცანავამ გააუმჯობესა 11 წლის უკან ქუთაისელ ა. გრინევსკის მიერ დამყარებული ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი (1.58,6), ხოლო ი. სოვეტკინმა — იუნიორთა რესპუბლიკური მიღწევა (ორივეს მწვრთნელია ვ. ნედაშკოვსკი). მათ თანაგუნდელ ვ. კურილოვს ბადროს ტყორცნაში ნახევარი მეტრი დააკლდა ოსტატობის კანდიდატის ნორმამდე. მისი შედეგია — 50,50 მ.

სამი გამარჯვება იზეიმა გალინა კონონენკომ. იგი საუკეთესო იყო 100 მეტრზე რბენაში (12,2), ხუთჭიდში (4161) და 4×100 მეტრზე ესტაფეტაში, სადაც უნივერსიტეტის გუნდმა ყველაზე კარგი დრო (50,0) აჩვენა.

I თანრიგის შედეგებით გაიმარჯვეს აგრეთვე: ქალთა შორის — 80 მეტრზე თარჯრბენში — თ. როჟმანოვამ — 11,6, სიგრძეზე ხტომაში — თ. პავლოვამ (ორივენი — ფიზკ. ინსტ.) — 555, ბირთვის კვრაში — ე. ბერინბერგმა (ფიზკ. ინსტ., პირადი) — 13,45. ვაჟებში: 100 მეტრზე რბენაში — რ. მამალაძემ — 10,9, 200 და 400 მეტრზე — ტ. ბახტაძემ (ორივენი — ფიზკ. ინსტ.) — 22,0 და 48,8, 200 მეტრზე თარჯრბენში — ე. ლომთაძემ (სას. სამ. ინსტ.) — 25,0, სიმაღლეზე ხტომაში — თ. მდივანმა (უნივ.) — 190, სამხტომში — ა. ჩერნიშოვმა (სამხატვ. აკად.) — 14,71, ათჭიდში — ი. ჩირიკაშვილმა (უნივ.) — 6105 და სხვ.

მაგრამ II და III პრიზიორების შედეგები უმეტესად ვერ ცილდებოდა II თანრიგს. უფრო მეტიც, II თანრიგის მაჩვენებლებს ვხვდებით გამარჯვებულებთანაც (ვ. სლანოვა, ი. მიხაილჩენკო, ქ. კახიშვილი, ლ. შაბანოვა და სხვ.).

იყო შემთხვევები, როცა სტარტზე გამოდიოდა 1-3 მონაწილე (!). ასე იყო, მაგალითად, 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, 400 მეტრზე თარჯრბენში, 400 მეტრზე რბენაში, 80 და 100 მეტრზე თარჯრბენში და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მძლეოსნებმა გამოცდები ჩააბარეს, მაგრამ „კუდი" მაინც ბევრია. ასე საქმე წინ ვერ წავა, თუ სტუდენტთა საკავშირო თამაშების და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ძალ-ღონის დაუშურებლად არ გავშლით საქმიანობას.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი. I ჯგუფში — უნივერსიტეტი, ფიზკულტურის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, თბილისისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტები, II ჯგუფში — თბილისის სამედიცინო და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტები, III — ცხინვალის პედინსტიტუტი და თბილისის სამხატვრო აკადემია.

მისასალმებელია ტურნირში აკადემიის მძლეოსანთა მონაწილეობა, მაგრამ სად იყვნენ სხვა უმაღლესი სასწავლებლები?! სალათას ძილიდან როდის უნდა გამოფხიზლდნენ ზოოტექნიკური, სავეტერინარო, ბათუმისა და თელავის პედაგოგიური და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები?

ვ. ბუკია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „საგზაო შემთხვევის“ წყალობით

**ზუგდიდი**, 17 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეები გუშინ შუადღისას მოეწყვნენ სოხუმის სანაპიროზე, სადაც სტარტი მიეცა II ეტაპს — სოხუმი — ზუგდიდი (105 კმ).

ველოსიპედისტებმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს, იყო დაწინაურების ცდებიც, მაგრამ ყველა მათგანი უშედეგოდ დამთავრდა. სპორტსმენებმა ამჯობინეს საერთო ჯგუფში სვლა. მაგრამ აი, მე-10 კილომეტრზე წინ გაიჭრა ი. იგნატენკო („ბურევესტნიკი“). 2 კილომეტრის მერე მას წამოეწია გ. ნასყიდაშვილი („კოლმეურნე“), მაგრამ ამ „დუეტმა“ დიდხანს ვერ შეძლო ეულად რბოლა.

მე-15 კილომეტრზე მოხდა „საგზაო შემთხვევა“ — დაწინაურებულთაგან ერთ-ერთი დაეცა და მისი ბედი დიდმა ჯგუფმა გაიზიარა, — მხოლოდ 4 ველოსიპედისტი გადარჩა. ორიოდე კილომეტრის შემდეგ ტრასაზე უცბად ახალი დაბრკოლება გამოჩნდა — სასეირნოდ გამოსულმა ძროხამ არამარტო დაავლო მაღალი ტემპი, არამედ ბევრი კიდევაც ჩამოაქვეითა. ზოგს მანქანაც კი დაუზიანდა. დაზარალებულთა შორის იყვნენ შეჯიბრების ლიდერები ს. გრიშკევიჩი („განთიადი“) და ტ. ტოლმუსკი (აზერბაიჯანის ნაკრები). მათი მარცხით კარგად ისარგებლეს მეტოქეებმა — ერთბაშად უმატეს ტემპს. ისინი ცდილობდნენ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებას და პირველ ეტაპზე წაგებული დროის ანაზღაურებას.

ვიდრე დაზარალებულები ბორბლებს ცვლიდნენ, მთავარი ჯგუფი საგრძნობლად დაწინაურდა. მალე ახალმა შეფერხებამ იჩინა თავი — წვიმა დაიწყო. მიუხედავად ამისა, ტემპი არ შენელებულა. დაწინაურებულ 28-კაციან ჯგუფს თანდათან გამოაკლდა რამდენიმე ველოსიპედისტი. როცა ფინიშამდე 7-8 კმ იყო დარჩენილი, გაქცევა სცადა სპორტის ოსტატმა ა. მოროზოვმა (აზერბაიჯანის ნაკრები). მას გაყვნენ პირველთანრიგოსანი ა. ჩერნოუსოვი („ბურევესტნიკი“) და ოსტატი ი. კრასავცევი („დინამო“). ეს სამეული მალე 1 წუთს უგებდა მეტოქეებს.

ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გამართულ ფინიშთან მრავალრიცხოვანი მაყურებლის ტაშში პირველი მიიჭრა მოროზოვი — 2:52.20. მას 3 წამით ჩამორჩა ჩერნოუსოვი. კრასავცევის დრო 2:52.52. კიდევ 8 წამის შემდეგ მოვიდა 19-კაციანი ჯგუფი.

ეტაპი ისევ აზერბაიჯანის ნაკრებმა მოიგო — 8:38.20. საქართველოს გუნდებიდან საუკეთესო იყო „ბურევესტნიკი“ — 8:38.23. მეორე შედეგი ჰქონდა „დინამოს“ — 8:38.52.

2 ეტაპის ჯამში ლიდერის მაისურს დაეპატრონა ე. მელკოვი (აზერბაიჯანის ნაკრები) — 5:46.05. II ადგილზეა ი. კრასავცევი („დინამო“) — 5:50.0, III — ვ. სიდანოვი („კოლმეურნე“) — 5:50.03.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს აზერბაიჯანის ნაკრები — 17:23.14. „განთიადის“ დრო 17:27.50, „დინამოსი“ — 17:30.26, „კოლმეურნისა“ — 17:31.48. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საშუალო სისწრაფე შეადგენდა 36,6 კილომეტრს, მაშინ, როცა I ეტაპზე იგი 33,3 კილომეტრს არ აჭარბებდა.

## რაიონების სტრიქონით

**✦ სამტრედია**

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს კლუბში ჩატარდა მძლეოსნური კროსი გაზეთ „წინსვლის“ პრიზზე. სტარტზე გამოვიდა 87 სპორტსმენი. 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა თ. პაპაშვილმა (დიდი ჯიხაიში) — 2.16,1. 500 მეტრზე გოგონათა რბენაში პირველი იყო მასპინძელი ნ. კანდელაკი — 1.56,0. გუნდური პირველობა მოიგო დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივმა.

• • •

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს პირველობაზე მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში 14 გუნდი მონაწილეობდა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა იანეთელმა შ. კოხრეიძემ, ხოლო გუნდურში ილორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკრებმა.

**ჯ. ვაშაკიძე.**

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ფეხბურთში** — ო. ჯანგველაძეს (თბილისი); **ჭადრაკში** — ო. ქაჯაიას (ბათუმი); **წყალბურთში** — რ. ჩიკვაიძეს (თბილისი); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ჯ. დავლიანიძეს (თბილისი); **ხელბურთში** — ვ. ელგუჯაურს (თბილისი).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ს. ქავთარაძეს, პ. გაგუას (ორივენი — ბათუმის „დინამო“), ა. პაპუაშვილს (რუსთავის „განთიადი“), ი. სკრილნიკოვს (ქობულეთის „კოლმეურნე“); **ტყვიის სროლაში** — ვ. კარგაპოლცევს (ხაშურის „დინამო“); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ი. ლოკტიონოვს (თბილისის „დინამო“).

## ჭადრაკი

# სპორტი

# გამოდიან ქალები

დღეს, თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, სტარტს აიღებს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ზუგდიდისა და სამტრედიის 18 მოჭადრაკე. მათ შორის, თბილისის ჩემპიონი ნ. ჩიქობავა, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქ. გოგიავა, თბილისის ორგზის ჩემპიონი ლ. ნაჭყებია და სხვ.

ჩემპიონატში ვერ ვიხილავთ ჩვენს რამდენიმე მოწინავე მოჭადრაკეს. ნ. გაფრინდაშვილი მონაწილეობს საკავშირო კომკავშირის XV ყრილობის მუშაობაში; მ. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე დაკავებული არიან პირადი საქმეებით; საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ნ. ალექსანდრია წლეულს საშუალო სკოლას ამთავრებს, გამოცდების პერიოდი კი ჩემპიონატს ემთხვევა.

შეჯიბრება დიდ ინტერესს გამოიწვევს მასში ნიჭიერი ახალგაზრდობის მონაწილეობით. პირველ ყოვლისა ეს ითქმის ც. კახაბრიშვილსა და ნ. ჩიქობავაზე, რომლებიც უდავოდ პერსპექტიული მოჭადრაკეები არიან. ბევრს გვპირდებიან, აგრეთვე, თ. ხუგაშვილი, მ. ჩომახიძე და ზუგდიდელი ა. ბაძალუა. საერთო ყურადღებას მიიპყრობს ჩემპიონატის დებიუტანტების — 11 წლის ბათუმელი ნ. გიორგაძისა და 13 წლის სამტრედიელი ზ. შენგელიას თამაში. პატარა ნონა წლეულს შარშანდელივით II ადგილზე გავიდა აჭარის ჩემპიონატში, ხოლო ზეინაბმა მარტის არდადეგების დღეებში, თბილისში მოსწავლეთა ასპარეზობაში II თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ტურნირში 5 გამარჯვებული ითამაშებს სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში.

# კარგი ნაყოფი

გუშინ დილით მოხდა თბილისი—ერევნის მატჩში 2 გადადებული (ბოიახჩიან — კაკაბაძისა და დემირხანიან — გიორგაძის) პარტიის დამთავრება. ორივე პარტია ერევნელებმა მოიგეს. მატჩის საერთო ანგარიშია 7,5:2,5 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამრიგად, დასრულდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მეგობრობის მატჩ-ტურნირი. **I ადგილი დაიკავა თბილისმა (26 ქულა), II — ბაქომ (20), III — ერევანმა (14).**

საინტერესოა შეჯიბრების ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემები. თვითეულმა გუნდმა 40 პარტია ითამაშა. თბილისელებმა მოიგეს 19 შეხვედრა, 7 წააგეს და 14 ყაიმით დაამთავრეს; ბაქოელებმა მოიგეს და წააგეს 11-11 პარტია, ხოლო 18 ყაიმით დაასრულეს; ერევნელებმა მხოლოდ 8 პარტია მოიგეს, 20 წააგეს და 12-ში ყაიმზე შეთანხმდნენ.

**დაფების მიხედვით I ადგილებზე არიან (4 შესაძლებლიდან): I. ბ. გურგენიძე — 2,5 ქულა, II. რ. ჯინჯიხაშვილი — 3,5, III. ვ. კასპარიანი (ერევანი) — 3, IV. ა. დემირხანიანი (ერევანი) — 3, V. თ. ლომაია — 3,5, VI. ე. უბილავა — 3,5, VII. ლ. გრიგორიანი (ერევანი), ფ. შახტახტინსკი (ბაქო), ა. ბოკუჩავა — 2-2, VIII. ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — 4, IX. ა. ჩაიკოვსკაია — 3, X. ნ. ალექსანდრია — 4.**

ასპარეზობამ ცხადყო, რომ მოძმე დედაქალაქებს შორის საჭიროა უფრო მეტი შემოქმედებითი კონტაქტი, ხშირი შეხვედრები, რათა მოჭადრაკეები მომზადებული ჩაებან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში.

**თ. ნინოშვილი.**



თბილისში ტანმოვარჯიშე ქალთა ახლახან გამართულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა გუნდის წევრებს გამოსვლებისთვის ამზადებდა წარსულში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ს. მურატოვა.

ს უ რ ა თ ზ ე თქვენ ხედავთ ს. მურატოვას (მარცხნივ), რომელიც მორიგი ვარჯიშის შესრულების წინ ესაუბრება სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ნ. კუჩინსკაიას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გუშინ...

ჩ ე მ პ ი ო ნ ა ტ ი ს საზეიმო გახსნისას მონაწილენი კენჭისყრით სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ:

1. მ. ლოლიშვილი, 2. ნ. მანველოვა, 3. ნ. ხუბულური, 4. თ. ჩხიკვაძე (სოხუმი), 5. თ. ხუგაშვილი, 6. მ. ჩომახიძე, 7. ნ. ჩიქობავა, 8. ნ. გიორგაძე (ბათუმი), 9. ც. კახაბრიშვილი, 10. ს. ივანოვა, 11. ზ. შენგელია (სამტრედია), 12. ლ. ბელოზიოროვა, 13. ც. კობაიძე, 14. ქ. გოგიავა, 15. ლ. ნაჭყებია, 16. ა. სვანაძე (ქუთაისი), 17. ა. ბაძალუა (ზუგდიდი), 18. საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია.

# მე-4 სკოლა — ჩემპიონი

ახლახან ჩატარდა თბილისის რაიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებული სკოლების გუნდური პირველობა ჭადრაკში. გუნდები ძირითადად პირველთანრიგოსნებით იყო დაკომპლექტებული, მათ შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ოსტატობის სამმა კანდიდატმა — ე. უბილავამ, ნანა ალექსანდრიამ და ს. ჩეჩელიანმა. ყველა შეხვედრა მოიგო და თბილისის ჩემპიონობა გაინაღდა მე-4 სკოლის კოლექტივმა (დ. ლონგურაშვილი, მ. ძნელაძე, ე. ვეფხიშვილი, ნ. ხუბულური, ლ. გელიაშვილი). მეოთხესკოლელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს 61-ე, 41-ე, 66-ე, 37-ე, ხოლო ანგარიშით 3,5:1,5 — 29-ე და 87-ე სკოლების მოჭადრაკეები. II ადგილზეა 61-ე, III — 29-ე სკოლა.

მე-4 სკოლის გუნდი, რომელიც თითქმის მთლიანად პიონერებისგან შედგება, წლების მანძილზე დედაქალაქის უცვლელი ჩემპიონია პიონერული ასაკის გუნდებში. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს შ. ინწკირველს.

**პ. მხეიძე.**

# სწორად ამოხსნეს

ჩვენი გაზეთის 55-ე ნომერში გამოქვეყნებული დ. სახვაძის (ტყიბული) ამოცანა და ნ. ფალავას (ბათუმი) ეტიუდი სწორად ამოხსნეს: რ. ქირთბაიამ (გალის რაიონი, სოფ. ოტობაია), ქ. და გ. არაბულებმა (წითელწყაროს რაიონი, სოფ. არხილოსკალო), ნ. ჯიქურმა (კასპი), ო. დეკანოიძემ (საჩხერის რაიონი, წითელი სოფელი), გ. შარმადინმა (წითელწყაროს რაიონი, სოფ. ზემო ქედი), ა. ქუხილავამ (წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჭალა), ა. ყურაშვილმა (აბაშა), შ. ფურცელაძემ (მაიაკოვსკი), გ. გიგაშვილმა (ქარელის რაიონი, სოფ. რუისი) და ჟ. ყურაშვილმა (ბათუმი).

**ამოხსნაა—დ. სახვაძის ამოცანისა: 1. მფe3 b6 2. ეg7 მფe6 3. მფe4 b5 4. კd7×. ნ. ფალავას ეტიუდისა: 1. f6 მფf8 2. h6 ეh1 3. h7 მe8 4. g7+ მ:g7 5. h8ლ+ ე:h8 6. fg+ მფ:g7. პატი.**

## საქართველოს სტუდენტთა თამაშები

# „ქუდები“

ქ ა ლ ე ბ ი: რბენა 100 მ — გ. კონონენკო — 12,2, ნ. სოლოვიოვა (სოხ. პედინსტ. პირადი) — 12,5, ლ. შაბანოვა (სოხ. პედინსტ.) — 12,6, 200 მ — ლ. შაბანოვა — 26,4, ლ. სააკოვა (ფიზკ. ინსტ.) — 26,8, ნ. გაბეჩაძე (უნივ.) — 27,2, 400 მ — ნ. ბახტაძე (ფიზკ. ინსტ.) — 1.03,9, ლ. თოფჩიშვილი (გორის პედინსტ.)—1.05,8, ა. ფომინა (პოლიტექ. ინსტ.)—1.11,3, 800 მ — ნ. ბახტაძე — 2.28,9, ი. ცხოვრებოვა (ცხინვალის პედინსტ.) — 2.43,0, 80 მ თარჯრბენი — თ. როჟმანოვა — 11,6, ნ. გაბეჩაძე — 11,9, მ. ოგანესიანცი (თბ. პედინსტ.) — 12,5, 100 მ თარჯრბენი — თ. პავლოვა — 15,5, ლ. ტროფიმენკო (უნივ.) — 17,2, სიგრძეზე ხტომა — თ. პავლოვა — 555, დ. კაპანაძე (პოლიტექ. ინსტ.) — 535, ლ. შუმილინა (უნივ.) — 530, სიმაღლეზე ხტომა — ლ. პატარიძე (უნივ.) — 150, ს. ნაგორნაია (ფიზკ. ინსტ.) — 150, ი. ავსაჯანიშვილი (პოლიტექ. ინსტ.) — 150, ბირთვის კვრა — ე. ბერინბერგი (ფიზკ. ინსტ. პირადი) — 13,45, მ. თათარაშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 13,30, ქ. კახიშვილი (უნივ. პირადი) — 12,67, ბადროს ტყორცნა — ქ. კახიშვილი (უნივ.) — 41,46, ვ. კომაროვა (ფიზკ. ინსტ.) — 38,31, მ. უჩაძე (სახ. სამ. ინსტ.) — 38,01, შუბის ტყორცნა — ვ. სლანოვა (ფიზკ. ინსტ.) — 41,92, ს. პოლი (სოხუმის პედინსტ.) — 40,42, ზ. ნანიევა (პოლიტექ. ინსტ.) — 34,76, ხუთჭიდი — გ. კონონენკო — 4161, თ. როჟმანოვა — 4012, ლ. შუმილინა — 3910, ესტაფეტა 4×100 მ — უნივ. — 50,0, ფიზკ. ინსტ. — 52,0.

ვ ა ჟ ე ბ ი: რბენა 100 მ — რ. მამალაძე (ფიზკ. ინსტ.) — 10,9, დ. ქავთარაშვილი (უნივ.) — 11,2, ვ. თმიაძე (პოლიტექ. ინსტ.) — 11,3, 200 მ — ტ. ბახტაძე — 22,0, ა. ანტონოვი — 22,4, ი. პრიმინი (ყველანი—ფიზკ. ინსტ.) — 22,8, 400 მ — ტ. ბახტაძე (პირადი) — 48,8, ი. პრიმინი — 49,8, გ. სტარიჩკოვი (პოლიტექ. ინსტ.) — 53,8, 800 მ — ი. ლოგუნოვი (უნივ.) — 1.53,6, ი. ზეინანთელი (ფიზკ. ინსტ. პირადი) — 1.56,7, ი. ხოვეტკინი (ფიზკ. ინსტ.) — 1.56,7, 1.500 მ — ი. ლოგუნოვი — 3.58,3, ზ. ეფრემიძე (გორის პედინსტ.) — 4.08,4, ი. ხოვეტკინი— 4.09,3, 5.000 მ — ა. კორნეიჩუკი (სამედ. ინსტ.) — 15.33,9, ლ. ვასილენკო (ფიზკ. ინსტ.) — 15.58,8, გ. გიგოლაევი (ცხინვალის პედინსტ.) — 18.11,8, 10.000 მ — ი. მიხაილიჩენკო (ფიზკ. ინსტ.) — 31.56,4, ვ. ვირჩენკო (ფიზკ. ინსტ. პირადი) — 32.22,0, ვ. რუკინი (უნივ.) — 32.33,8, 110 მ თარჯრბენი — ს. სიდელნიკოვი (უნივ.) — 15,7, ვ. ლანჩავა (სახ. სამ. ინსტ.) — 16,1, კ. ნარმანია (პოლიტექ. ინსტ.) — 16,3, 200 მ თარჯრბენი—ე. ლომთაძე (სახ. სამ. ინსტ.). — 25,0, ჯ. სხულუხია (ფიზკ. ინსტ.) — 25,1, ვ. ლანჩავა — 26,0, 400 მ თარჯრბენი — ჯ. სხულუხია — 55,8, ს. ველიჩკო (უნივ.) — 59,3, ა. ვართანოვი (პოლიტექ. ინსტ.) — 1.02,9, 3.000 მ წინაღობებით — ლ. ვასილენკო (ფიზკ. ინსტ.) — 10.00,8, 10 კმ სპორტული სიარული — ვ. ლიბერმანი (ფიზკ. ინსტ.) — 50.33,0, სიგრძეზე ხტომა — რ. ქვაჩაკიძე (უნივ.) — 688, ს. კივა — 650, ა. გორდეევი (ორივენი — პოლიტექ. ინსტ.) — 643, სიმაღლეზე ხტომა — თ. მდივანი (უნივ.) — 190, ლ. გუგუშაშვილი (სახ. სამ. ინსტ.) — 185, ნ. საგანელიძე (პოლიტექ. ინსტ.) — 185, სამხტომი — ა. ჩერნიშოვი (სამხატ. აკად.) — 14,71, ი. შაბანოვი—14,65, ს. კივა (ორივენი — პოლიტექ. ინსტ.) — 14,19, ჭოკით — ლ. გუგუშაშვილი — 390, მ. თათევოსიანი (სახ. სამ. ინსტ.) — 380, გ. ბუსკაძე (პოლიტექ. ინსტ.) — 370, შუბის ტყორცნა — დ. ქორიაშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 63,58, ლ. ართმიძე (სახ. სამ. ინსტ.) — 62,96, გ. აულოხოვი (პოლიტექ. ინსტ.) — 62,34, ბადროს ტყორცნა — ე. კურილოვი (ფიზკ. ინსტ.) — 50,50, მ. თყრომიძე — 44,66, შ. ოთიურიძე (სახ. სამ. ინსტ.) — 40,78, ბირთვის კვრა — მ. თყრომიძე — 17,25, ე. სანაკოევი (ცხინვალის პედინსტ.) — 13,15, ვ. კურილოვი — 13,10, უროს ტყორცნა — თ. ართილაყვა (სახ. სამ. ინსტ.) — 53,16, ა. ბაგაური (პოლიტექ. ინსტ.)—52,95, თ. ოდიშვილი (უნივ.) — 52,00, ათჭიდი — ი. ჩირიკაშვილი (უნივ.) — 6105, მ. ტულუში (ფიზკ. ინსტ.) — 5641, ა. ვიბლიანი (უნივ.) — 5460, ესტაფეტა 4×100 მ — (ფიზკ. ინსტ.) — 44,0, უნივერსიტეტი — 44,6. (პოლიტექ. ინსტ.)—45,1.

გ უ ნ დ უ რ ი შ ე დ ე გ ე ბ ი: I ჯ გ უ ფ ი: ფიზკ. ინსტ. — 26,092, უნივერსიტეტი — 24,179, პოლიტექ. ინსტ — 13,427; II ჯ გ უ ფ ი — სოხუმის პედინსტ. — 1217, სამედიცინო ინსტიტუტი — 1195; III ჯ გ უ ფ ი — ცხინვალის პედინსტ. — 1109, სამხატვრო აკადემია — 732.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლთა რეპეტიცია

თბილისი. 16 მაისი. სპორტის სასახლე.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კუნცევო" (მოსკოვი) 24:23 (12:10).

„ბურევესტნიკის" სასტარტო შვიდეული: აბაიშვილი, ცერცვაძე (გაიტანა 7 გოლი), ექსეულიძე (1), ფხაკაძე (5), კარტოზია, კოპალეიშვილი (1), ზარდალიშვილი (5). ითამაშეს აგრეთვე ბაგრატიონმა (1), გაზდელიანმა (3), სხირტლამ (1) და ბუნაძემ.

„კუნცევოს" სასტარტო შვიდეული: სემიონოვი, ლებედევი (2), მაზური (8), სოლომკო (3), მიხაილოვი (3), მოროზოვი (4), შევჩენკო. ითამაშეს აგრეთვე ტიმაკოვმა, ლარინმა (2) და ისაენკომ (1).

ეს იყო საკონტროლო შეხვედრა სსრ კავშირის ჩემპიონატის დასკვნითი ტურის წინ. ორივე მეტოქემ საკავშირო პირველობის კალენდარული შეხვედრა ჯერ კიდევ რიგაში ჩაატარეს და დასკვნით ტურში მათ ერთმანეთთან საქმე არ ექნებათ. ორივე გუნდს იქ თამაში მოუწევთ ერთიდაიგივე კოლექტივებთან და, ამდენად, თბილისში გამართულ საკონტროლო შეხვედრას გენერალური რეპეტიციის როლი ენიჭებოდა.

ძველმა ნაცნობებმა მატჩი დაუზვერავად დაიწყეს. ერთხანს მოსკოველებს ეპყრათ უპირატესობა, მაგრამ პირველი ნახევრის მიწურულში მასპინძლებმა იმარჯვეს და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო და რაღაც ათიოდე წუთში მასპინძლები 7 ბურთით დაწინაურდნენ — 18:11. „კუნცევოს" ხელბურთელებმა მხოლოდ თამაშის დასასრულს მოახერხეს „გამოფხიზლება" და ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება შეძლეს. ეს იყო და ეს.

ამ შეხვედრით დამთავრდა მოსამზადებელი პერიოდი. ახლა წინაა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტური, რომელიც 20 მაისს დაიწყება კიევში.

დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელები უკრაინის დედაქალაქში გაფრინდნენ.

ჯ. ენუქიძე.

**ხელბურთი**

# ფ. ჯიმონდი თუ ჟ. ანკეტილი?

პარიზ — ბრიუსელის 52-ე ტრადიციული ველორბოლის წინ ბელგიის გაზეთები წერდნენ: „ერიდეთ იტალიელებს! ერიდეთ ადორნის! დავამარცხოთ ჯიმონდი!"

ბელგიელებს საგანგაშო თითქოს არაფერი უნდა ჰქონოდათ. ისინი რბოლის 35-გზის ჩემპიონები არიან, იტალიელებმა კი ამ საპატიო ტიტულს მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს. მაგრამ ბელგიელებს ძილი დაუფრთხო ჯიმონდის ამასწინანდელმა გამარჯვებამ რუბეში. სწორედ ამიტომ შეიქმნა ბელგიურ-ფრანგულ-ჰოლანდიური კოალიცია იტალიელთა ერთადერთი გუნდის — „სალვარანის" წინააღმდეგ.



ჟ. ანკეტილი

9 საათსა და 30 წუთზე 119 ველოსიპედისტი გაუდგა შორეულ გზას. ქარი ამჯერად სპორტსმენთა მოკავშირე იყო და მონაწილეებმაც თავიდანვე მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს. აქტიურობის თაოსნები იყვნენ ფრანგები ანერტი, პამარი და ბელგიელი მალიეპარდი. 200 კილომეტრამდე ისინი წინ იყვნენ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დაიღალნენ. რამდენიმე იერიშს ახორციელებენ ბელგიელები სვერტსი და პიუსმანი, მაგრამ ადორნი ყურადღებადაა ქცეული. ერთ მომენტში ვან ლოიმ სცადა დაწინაურება, მაგრამ ბელგიელს უმალ დაედევნა ჯიმონდი.

რბოლის გადამწყვეტ ეტაპზე მონაწილეებს „უჩუმრად გაეპარა" ჯიმონდი, რომელმაც ფინიშამდე 17 კილომეტრით ადრე დიდი სისწრაფე განავითარა. ჯიმონდი მარტოდმარტო დარჩა. მას კუდში მხოლოდ მსაჯთა მოტოციკლი და ტექდახმარების მანქანა მისდევდნენ.

ამ დროს კი მეორე იტალიელი — ადორნი ჯგუფს აკავებდა და ლიდერს ხელსაყრელი ფინიშის პირობებს უქმნიდა. საკონტროლო ხაზი ჯიმონდიმ 6 საათის, 32 წუთისა და 18 წამის შემდეგ გადაკვეთა. ჯგუფმა, რომელშიც მეორე იყო ვ. პლანკერტი, ხოლო მესამე — ვან ლოი, გამარჯვებულთან 25 წამი წააგო. ბელგია პირველ ათეულში 8 ველოსიპედისტით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი პრიზი მაინც დაკარგა. მთავარი კი სწორედ ეს გახლდათ. ჯიმონდიმ I ადგილთან ერთად გამარჯვებულისთვის დაწესებული 25000 დოლარი მიიღო.

...ველოსპორტის სამყარო ჯიმონდისა და ანკეტილის მომავალი შეხვედრით სულდგმულობს, რომელიც „ჯირო დ'იტალიაში" გაიმართება. რბოლა დღეს დაიწყება და 9 ივნისამდე გასტანს. ეს იქნება „რკინის ნორმანდიელის" და „ახალი კოპის" პირველი დასწრებული დუელი. ანკეტილმა ჯერ კიდევ ზამთარში განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს განზრახული „ჯიროს" მოგება. იგივე აზრის არის, ოღონდ ცხადია, თავის სასარგებლოდ, ჯიმონდიც, რომლის აღიარებითაც მისთვის „ტურ დე ფრანსზე" დიდი მნიშვნელობა ამჯერად „ჯირო დ'იტალიას" აქვს.

საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის წინათ ჭაბუკი ჯიმონდისთვის ჟ. ანკეტილი ველოსიპედისტის იდეალი იყო. ახლა კი იტალიელი მზად არის ომი გამოუცხადოს თავის დიდ მასწავლებელს.



ფ. ჯიმონდი

## ● ტრადიციული ტურნირი ნიუ-იორკში

ამერიკელი მენაჯერი ბ. კოქსი ნიუ-იორკში ზაფხულობით ტრადიციულად მართავს დიდ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირს. წლევანდელ შეჯიბრებაში ითამაშებენ „კოქსის თასის" შარშანდელი მფლობელი — ბიტომის „პოლონია", „კიოლნი" (გფრ), „ლაციო" (რომი), „სტანდარდი" (ლიეჟი), ტრენჩინის „იედნოტა" (ჩეხოსლოვაკია).

ბ. კოქსმა მიწვევა გაუგზავნა პორტუგალიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „პორტოს". მეშვიდე მონაწილე ჯერჯერობით უცნობია.

## ფეხბურთი

**ახალი ამბები**

● **სოფია.** ბულგარეთის ნაკრების ხელმძღვანელი, ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი რ. ვიტლაჩილი, რომელიც ერთდროულად სოფიის კლუბ „ლევსკის" უდგას სათავეში, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ავსტრიაში გადავა. 1 აგვისტოდან იგი მუშაობას დაიწყებს ვენის „რაპიდის" მთავარ მწვრთნელად.

● **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 1967–68 წლების ჩემპიონატიდან I ლიგაში მონაწილე გუნდების რიცხვი 22-დან 18-მდე მცირდება. ამ ღონისძიებამ, ინგლისური ფეხბურთის მესვეურთა აზრით, ხელი უნდა შეუწყოს ფეხბურთის კლასის ამაღლებას.

● **მილანი.** ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური წარმომადგენელი მ. დი ჯორჯიო ეწვია კლუბ „მილანის" ხელმძღვანელობას და ლაპარაკი ჰქონდა აქ მოთამაშე ბრაზილიელი ამარილდოს შესახებ. დი ჯორჯიომ „მილანს" სთხოვა რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ ამარილდო, რათა მან შეძლოს ბრაზილიის ნაკრების სავარჯიშო შეკრებაში მონაწილეობის მიღება და თავის ახალ პარტნიორებთან შეჩვევა.

# ახალი ამბები

● **ჰამბურგი.** 16 მაისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა I ნაკრები გუნდის შეჯიბრებამ გფრ-ის ნაკრებთან. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ დაწინაურდნენ სტუმრები — 281,80:272,05 საუცხოოდ ივარჯიშეს დიომიდოვმა, ვორონინმა, ტიტოვმა და შახლინმა. პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. „თუ ერთ-ერთი გერმანელი ტანმოვარჯიშე IV ადგილს დაიკავებს, ეს მეტისმეტად სასიამოვნო სიურპრიზი იქნება", — წერდა გაზეთი „ნოიე რაინ-ცაიტუნგი". მართლაც, ტურნირის მეორე დღეს, ნებისმიერი პროგრამით ვარჯიშში, სტუმრებმა შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 566,20:549,25. პირად ასპარეზობაში საუკეთესო იყო ს. დიომიდოვი — 114,30 ქულა.

● **მიტიშჩი, 16 მაისი.** ადგილობრივ სასროლეთზე დაიწყო რუმინეთის, უნგრეთის, შვეციის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება ტყვიის სროლაში. 50 მეტრზე წოლელა მდგომარეობიდან სროლა მოიგო ვ. ბორისოვმა — 596 ქულა 600-დან. ქალთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი იყო ტ. რიბინსკაია — 591.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**ლენინგრადი,** 16 მაისი. **სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის** ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. 0:0.

**რიო-დე-ჟანეირო,** 14 მაისი. **ბრაზილიისა და უელსის** ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. 3:1. მსოფლიო ჩემპიონი: ჟილმარი, კარლოს ალბერტო, ბრიტო, ორლანდო, რილდო, დანიელსონი, ჟერსონი, გარინჩა, სერვილიო, სილვა, პარანა. ბურთების ავტორები — სილვა, სერვილიო, გარინჩა; უელსელი დევისი. **ბრაზილიის II ნაკრები — ჩილის ნაკრები 1:1.**

# ჰ. ნემეცი — მოკრივის როლში

ფეხბურთის მოყვარულნი კარგად იცნობენ ავსტრიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელ ჰორსტ ნემეცს. 27 წლის სპორტსმენი, რომელიც ახლა „აუსტრიაში" გამოდის, ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული ფიზიკური ძალითა და გოლიათური აღნაგობით.

ნემეცი გამოჩენილი ფეხბურთელის ოცვირკის მოწაფეა (ახლა ოცვირკი „აუსტრიას" უდგას სათავეში) და მწვრთნელი ძალზე უკმაყოფილოა ნემეცის ქცევით. ცენტრალური თავდამსხმელი ხშირად აცდენს ვარჯიშს, საღამოობით სადღაც იკარგება. და აი, ოცვირკის „დაზვერვამ" დაადგინა, რომ ნემეცი საღამოობით ინტენსიურად ვარჯიშობს... კრივში.

აი, რა განაცხადეს ნემეცის მწვრთნელებმა კრივში: „რასაკვირველია, ასეთი ფიზიკური ძალის ადამიანისთვის ფეხბურთის თამაში არ ღირს. კრივში მას ბევრად უფრო მეტი წარმატება ექნება. თუ ნემეცი დაგვთანხმდება გახდეს პროფესიონალი მოკრივე, ჩვენ მას ბრწყინვალე კარიერას ვუქადით".

ჯერჯერობით ნემეცი მხოლოდ მოყვარული მოკრივეა და კავშირს არ წყვეტს „აუსტრიასთან". მიუხედავად ამისა, მან საუცხოოდ ჩაატარა რამდენიმე სპარინგი ცნობილ პროფესიონალ მოკრივეებთან და უახლოეს ხანში თვით აპირებს რინგზე ოფიციალურად გამოსვლას.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება სპორტის ოსტატ

**მალხაზ ვალერიანის ძე ერისთავის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# უეფა-ს გადაწყვეტილება

ევროპის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მორიგ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ნაკრები გუნდები 12 ოქტომბრამდე უნდა შეთანხმდნენ შესარჩევი მატჩების ჩატარების ვადებზე.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის 1966-67 წლების გათამაშებაში მონაწილე გუნდებმა მოლაპარაკება შესარჩევი მატჩების თაობაზე უნდა დაამთავრონ 28 სექტემბრისთვის.

ახლა ეროვნული ფედერაციები ადგენენ ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მონაწილეების განაცხადებს. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ წარადგინა მოსკოვის „ტორპედოსა" (ჩემპიონთა თასზე) და „სპარტაკის" (თასების თასი) განაცხადი.

# დეტროიტი მეხიკოს წინააღმდეგ

დიდი ბრიტანეთი უკვე რამდენიმე თვეა ხელმძღვანელობს მექსიკაში ოლიმპიადის ჩატარების წინააღმდეგ ბრძოლას და, როგორც ჩანს, პირველ კონკრეტულ შედეგს კიდეც მიაღწია. მეცნიერ მუშაკთა და ცნობილი სპეციალისტების ერთი ნაწილის აზრით, თამაშების პერიოდში სპორტსმენთა შორის უეჭველად იქნება სიკვდილის შემთხვევები.

და აი, მექსიკოსთვის ამ კრიტიკულ მომენტში, თავი წამოყო ამერიკულმა ქალაქმა დეტროიტმა, რომელმაც ადრე ექვსჯერ მიიღო ცივი უარი ოლიმპიადის მასპინძლობაზე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რომის სხდომაზე დიდმა ბრიტანეთმა წინადადება შეიტანა თამაშების მეხიკოდან გადატანის თაობაზე. თუ ეს არ მოხერხდა, ბრიტანეთის დელეგაცია კატეგორიულად სვამს საკითხს ზოგიერთი შეჯიბრება სანაპირო ქალაქში ჩატარდეს. პირველ ყოვლისა ასახელებენ საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენას, მარათონს, 50 კილომეტრზე სიარულს, აგრეთვე, ველორბოლას, კრივს, ჭიდაობას და ცურვას.

ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, მეხიკოში ჩატარებულ საგულდაგულო სამედიცინო გამოკვლევებზე დაყრდნობით, განაცხადეს, რომ მექსიკის დედაქალაქში აკლიმატიზაციისთვის ერთი თვე მაინც იქნება საჭირო. ყველგან, სადაც კი ამის საშუალება არის, მეხიკოს კანდიდატურის წინააღმდეგ, საჯაროდ გამოდის ინგლისის მეცნიერული ექსპედიციის ხელმძღვანელი, დოქტორი გ. პაგი.

იყენებს რა თავის სასარგებლოდ ამ დავას, დეტროიტის ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებს, რომ მზადაა დაუბრკოლებლად ჩაატაროს XIX ოლიმპიური თამაშები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.